ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსებული მოქალაქეები

კვლევა განხორციელდა პროექტ **საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა** - www.opendata.ge"-ფარგლებში, **ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს"** მხარდაჭერით. კვლევაში ასახულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემები.

*კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლებელია არ გამოხატავდეს ფონდ **„ღია საზოგადოება-საქართველოს"** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ბიულეტენის შინაარსზე.*

შინაარსი

შესავალი ---------- გვ3

საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება ქვეყნების მიხედვით-------- გვ6

დაფინანსებული პირები საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით----- გვ8

საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება სპეციალობების მიხედვით - გვ21

საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება სასწავლო პროგრამების მიხედვით -- ---------- გვ25

საქართველოს სასწავლებლებში დაფინანსებული უცხოელები---------- გვ29

დასკვნა---------- გვ 31

➢ შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიიღო ინფორმაცია უწყების მიერ 2011-2014 სასწავლო წლებში საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურით დაფინანსებული მოქალაქეების შესახებ. ანალოგიური შინაარსის მოთხოვნით ინსტიტუტმა მიმართა აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რომელიც ეხებოდა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საზღვარგარეთ სასწავლებლად დაფინანსებული მოქალაქეებს, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა 2011-2014 სასწავლო წლებში სამინისტროს მიერ სულ გამოყოფილია **9 571 207** ექვივალენტი ლარის **(1 515 693 აშშ დოლარი, 805 223 ლარი, 626 519 სტერლინგი, 93 465 შვეიცარიული ფრანკი, 910 000 რუსული რუბლი, 38 322 კანადური დოლარი, 6601 ლარი)** დაფინანსება. აღნიშნული დაფინანსება სასწავლო წლების მიხედვით თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული და გამოიყურება შემდეგნაირად:

2011-2012 სასწავლო წელში განხორციელდა **3 176 191** ლარის ექვივალენტის დაფინანსება (852 158 აშშ დოლარი, 393 560 ევრო, 303 408 სტერლინგი, 29 465 შვეიცარიული ფრანკი);

2012-2013 სასწავლო წელში განხორციელდა **3 268 617** ლარის ექვივალენტის დაფინანსება (891 907 აშშ დოლარი, 424 333 ევრო, 304 880 სტერლინგი);

2013-2014 სასწავლო წელში განხორციელდა - **3 126 398** ლარის ექვივალენტის დაფინანსება (663 535 აშშ დოლარი, 411 663 ევრო, 323 111 სტერლინგი, 64 000 შვეიცარიული ფრანკი, 910 000 რუსული რუბლი, 38 322 კანადური დოლარი).



მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სასწავლო წლების მიხედვით გამოყოფილი თანხები თითქმის უტოლდება ერთმანეთს, დაფინანსებულ პირთა რაოდენობა სასწავლო წლების მიხედვით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. 2011-2012 სასწავლო წლებში საზღვარგარეთ სწავლისთვის დაფინანსებულია 199 პირი , 2012 -2013 სასწავლო წლებში 103 პირი, ხოლო 2013-2014 სასწავლო წლებში - 80 პირი.

2011-2012 წლებში დაფინანსებულთა სიმრავლე ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 69 პირი შედარებით მცირე დაფინანსებით (თითოეულს 1332 ევრო) გაემგზავრა **მალტაში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე**.



ზემოთ მოყვანილი 2011-2012, 2012-2013 და 2013-2014 სასწავლო წლებში საზღვარგარეთ სასწავლებლად დაფინანსებული პირთა რაოდენობები, მოიცავს ერთი და იგივე პირებსაც, რომლებიც დაფინანსდნენ სხვადასხვა სასწავლო წლებში. ერთჯერადად და სხვადასხვა სასწავლო წლებში დაფინანსებული ერთი და იგივე პირების რაოდენობა გამოიყურება შემდეგნაირად:

- ერთჯერადად დაფინანსდა **254 პირი**
- ორ სასწავლო წელში დაფინანსდა **46 პირი**.
- სამივე სასწავლო წელში დაფინანსდა **12 პირი**



- **საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება ქვეყნების მიხედვით**

2011-2014 სასწავლო წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოქალაქეებს სწავლა დაუფინანსა საზღვარგარეთის 19 ქვეყნის სასწავლებლებში. როგორც დაფინანსებულ პირთა ასევე გამოყოფილი თანხის სიდიდით გამორჩეულია ამერიკის შეერთებული შტატები. 2011-2014 სასწავლო წლებში აშშ-ში დაფინანსებულია 107 პირი 3 999 246 ექვივალენტი ლარით (2 392 609 აშშ დოლარი). რიგით მეორეს, ორივე კომპონენტის (გამოყოფილი თანხა, დაფინანსებულთა რაოდენობა) მიხედვით წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, სადაც დაფინანსებულია 95 პირი 2 484 879 ექვივალენტი ლარით (931 399 სტერლინგი). რაც შეეხება რიგით მესამეს, გამოყოფილი თანხის სიდიდით, წარმოადგენს ნიდერლანდების სამეფო (780 202 ექვივალენტი ლარი), თუმცა აღნიშნული თანხით დაფინანსებულია მხოლოდ 17 პირი.

2011-2014 წლებში საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება ქვეყნების მიხედვით
www.opendata.ge

ქვეყანა	გამოყოფილი თანხა (ლარი)	დაფინანსებულთა რაოდენობა
აშშ	3999246	107
დიდი ბრიტანეთი	2484879	95
ნიდერლანდების სამეფო	780202	17
ესტონეთი	425494	28
გერმანია	343708	16
პოლონეთი	327286	21
შვეიცარია	215686	8
მალტა	207455	69
ესპანეთი	184075	3
შვედეთი	153986	4
იტალია	124651	3
ბელგია	73584	2
კანადა	61537	1
უნგრეთი	55324	3
რუსეთი	47229	1
საფრანგეთი	35889	1
პორტუგალია	18554	1
თურქეთი	16618	1
ნორვეგია	15800	1

2011-2014 წლებში გამოყოფილი თანხის სიდიდით სამივე სასწავლო წლის მანძილზე გამორჩეულები არიან ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის სასწავლებლები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2013-2014 სასწავლო წლების განმავლობაში დაფინანსებულია ისეთი ქვეყნების სასწავლებლები, რომლის დაფინანსებასაც წინა სასწავლო წლებში ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, 2013-2014 სასწავლო წლებში, წინა წლებთან განსხვავებით დაფინანსებულია საფრანგეთის, რუსეთის, ნორვეგიის, კანადის და ესპანეთის სასწავლებლები, თუმცა წინა წლებისგან განსხვავებით აღარაა დაფინანსებული ისეთი ქვეყნების სასწავლებლები, როგორიცაა: ესტონეთი, თურქეთი, მალტა, პორტუგალია და უნგრეთი.

საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება ქვეყნების და სასწავლო წლების მიხედვით www.opendata.ge						
	2011-2012		2012-2013		2013-2014	
ქვეყანა	გამოყოფილი თანხა (ლარი)	დაფინანსებულთა რაოდენობა	გამოყოფილი თანხა (ლარი)	დაფინანსებულთა რაოდენობა	გამოყოფილი თანხა (ლარი)	დაფინანსებულთა რაოდენობა
აშშ	1 407 764	45	1 482 383	32	1109099	30
ბელგია	24 603	1	0		48981	1
გერმანია	135 861	5	121 663	5	86184	6
ესტონეთი	117 081	7	308 413	21	0	0
თურქეთი	16 618	1	0	0	0	0
დიდი ბრიტანეთი	809 462	48	813 389	29	862028	18
მალტა	207 455	69	0	0	0	0
პოლონეთი	20 929	9	239 372	8	66985	4
პორტუგალია	18 554	1	0	0	0	0
უნგრეთი	50 922	2	4402	1	0	0
შვედეთი	18 396	1	18 396	1	117194	2
შვეიცარია	83 347	4	15 040	1	117299	3
ნიდერლანდების სამეფო	265 198	6	198 972	4	316032	7
იტალია	0	0	66 587	1	58064	2
საფრანგეთი	0	0	0	0	35889	1
რუსეთი	0	0	0	0	47229	1
ნორვეგია	0	0	0	0	15800	1
კანადა	0	0	0	0	61537	1
ესპანეთი	0	0	0	0	184075	3

- **დაფინანსებული პირები საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით**

2011-2012 სასწავლო წლებში საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოქალაქეებს სწავლა დაუფინანსა საზღვარგარეთის 12 ქვეყნის სასწავლებლებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლებლებიდან ყველაზე მეტი პირი (14) აღმასრულებელ მენეჯმენტში კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაფინანსდა George Mason University -ში, ხოლო ყველაზე დიდი თანხა ერთ პირზე გამოყოფილია Georgetown University- ის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე - 61 865 აშშ დოლარი.

დიდი ბრიტანეთის სასწავლებლებში ყველაზე მეტი პირი (31) ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე დაფინანსდა New College Nottingham-ში, ხოლო ყველაზე დიდი თანხა (34 450 ფუნტი სტერლინგი) ერთ პირზე გამოყოფილია ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.

გერმანიაში ყველა პირი დაფინანსებულია სხვადასხვა სასწავლებელში, ხოლო ყველაზე დიდი თანხა ერთ პირზე (20 000 ევრო) გამოყოფილია Berlin University of Art - ში არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამაზე.

სრულად 2011-2012 სასწავლო წლებში დაფინანსებული პირების შესახებ ინფორმაცია საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

2011-2012 სასწავლო წლებში სამინისტროს მიერ გამოყოფილი 10 ყველაზე მსხვილი გრანტი
www.opendata.ge

აშშ	George Town University	სამართლის სამაგისტრო პროგრამა	61 865 აშშ დოლარი
	Emory University	სამართლის სამაგისტრო პროგრამა	56 344 აშშ დოლარი
	ჰარვარდის უნივერსიტეტი	არქიტექტურა	40 158 აშშ დოლარი
	Julliard School	ფორტეპიანოს მოსამზადებელი კურსი	39650 აშშ დოლარი
	Clark University	სახელმწიფო მართვის საბაკალავრო პროგრამა	38 950 აშშ დოლარი
დიდი ბრიტანეთი	ლანკასტერის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	34 550 სტერლინგი
	ოქსფორდის უნივერსიტეტი	სტატისტიკა	31 250 სტერლინგი
	იმპერიალ კოლეჯ ლონდონი	სტატისტიკა	26 150 სტერლინგი
	ლონდონის ბიზნეს სკოლა	ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	24975 სტერლინგი
ნიდერლანდების სამეფო	Webster University	მედია კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა	25440 ევრო

2011-2012 სასწავლო წლებში გამოყოფილი დაფინანსება საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით www.opendata.ge					
ქვეყანა	სასწავლო დაწესებულება	პროგრამა	სპეციალობა	პირი	გამოყოფილი გრანტი
აშშ	George Mason University school of public policy	კვალიფიკაციის ამაღლება	აღმასრულებელი მენეჯმენტი	13	$ 31 200,00
	emory university	მაგისტრატურა	სამართალი	2	$ 112 688,00
	georgetown university	მაგისტრატურა	სამართალი	1	$ 61 865,00
	ჰარვარდის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	არქიტექტურა	1	$ 40 158,00
	juilliard school	მოსამზადებელი კურსი	ფორტეპიანო	1	$ 39 650,00
	juilliard school	ბაკალავრიატი	ვიოლინო	1	$ 32 700,00
	juilliard school	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	2	$ 54 800,00
	clark university	ბაკალავრიატი	სახელმწიფო მართვა	1	$ 38 950,00
	mit	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	ბიზნესის ადმინისტრირება	1	$ 30 000,00
	mit	მაგისტრატურა	ტექნოლოგიების მენეჯმენტი	1	$ 20 000,00
	mit	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	$ 15 000,00
	mit	ბაკალავრიატი	კომპიუტერული მეცნიერებები	1	$ 13 180,00
	tuft university , fletcher school of law and democracy	მაგისტრატურა	global masters of art	1	$ 30 250,00
	new england conservatory	მაგისტრატურა	ფორტეპიანო	1	$ 29 300,00
	boston conservatory	კვალიფიკაციის ამაღლება	ფორტეპიანო	1	$ 28 498,00
	new england conservatory	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$ 25 673,00
	კოლუმბიის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	საჯარო ადმინისტრირება	1	$ 25 000,00
	berklee college of music	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$ 23 930,00
	George Mason University	მაგისტრატურა	კონფლიქტის ანალიზი და გადაწყვეტა	1	$ 22 005,00
	stanford university	მაგისტრატურა	მენეჯმენტი	1	$ 20 000,00
	harvard university	კვალიფიკაციის ამაღლება	pld module5	1	$ 20 000,00
	birmingem southern college	ბაკალავრიატი	საბალეტო ხელოვნება	1	$ 17 400,00
	vassar college	ბაკალავრიატი	liberal arts	1	$ 15 700,00
	new york university	მაგისტრატურა	დიზაინი	1	$ 15 000,00
	boston conservatory	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$ 15 000,00
	Chicago university	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	$ 15 000,00
	williams college	მაგისტრატურა	ეკონომიკის განვითარება	1	$ 14 371,00
	ipsa	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	1	$ 11 958,00
	georgia technic university	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	1	$ 11 000,00

	english now	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	1	$ 9 940,00
	kaplan international college	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	1	$ 2 000,00
ბელგია	vlerick leuven gent management school	მაგისტრატურა	მარკეტინგი	1	€ 10 900,00
გერმანია	dusseldorf kunst akademie	ბაკალავრიატი	ფერწერა	1	€ 10 540,00
	berlin university of art	მაგისტრატურა	არქიტექტურა	1	€ 20 000,00
	htw berlin	მაგისტრატურა	კონსტრიურება და უძრავი ქონების მართვა	1	€ 10 100,00
	როიტლინგენის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	საერთაშორისო მენეჯმენტი	1	€ 12 000,00
	potsdam university	დოქტურანტურა	საკონსტიტუციო სამართალი	1	€ 7 550,00
ესტონეთი	ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	კიბერ უსაფრთხოება	5	€ 39 100,00
	ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	ინჟინერია	1	€ 5 850,00
	ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	სამრეწველო ინჟინერია და მენეჯმენტი	1	€ 6 920,00
დიდი ბრიტანეთი	new college nottingham	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	31	£ 87 567,00
	regent london	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	5	£ 15 764,00
	regent oxford	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	2	£ 20 856,00
	regent cambridge	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	1	£ 2 656,00
	language study international	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	1	£ 2 660,00
	city university london, cass business school	ბაკალავრიატი	მენეჯმენტი	2	£ 12 000,00
	kingston university	მაგისტრატურა	ჟურნალისტიკა	1	£ 19 985,00
	ლონდონის ბიზნეს სკოლა	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	2	£ 49 950,00
	ლანკასტერის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	£ 34 550,00
	ოქსფორდის უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	სტატისტიკა	1	£ 31 270,00
	იმპერიალ კოლეჯ ლონდონი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	გამოყენებითი სტატისტიკა	1	£ 26 150,00
მალტა	ec english	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	69	€ 91 908,00

პოლონეთი	music academy of krakow	კვალიფიკაციის ამაღლება	საზაფხულო კურსი	9	€ 9 272,00
პორტუგალია	catolica lisbon school of business and economics	მაგისტრატურა	მარკეტინგი	1	€ 8 220,00
უნგრეთი	central european university	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირება	2	€ 22 560,00
შვედეთი	university of gothenburg	ბაკალავრიატი	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	1	€ 8 150,00
შვეიცარია	eth zurich	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	კომპიუტერული მეცნიერებები	1	€ 5 000,00
	swiss federal institute of tecnology	ბაკალავრიატი	კომპიუტერული მეცნიერებები	1	fr. 4 465,00
	bhms	ბაკალავრიატი	მენეჯმენტი	1	fr. 25 000,00
	agsb business school	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	€ 8 000,00
ჰოლანდია	vu medisch centrum	კვალიფიკაციის ამაღლება	ექიმ-პათოლოგია	3	€ 66 600,00
	webster university	მაგისტრატურა	მედია კომუნიკაციები	1	€ 25 440,00
	rntc	კვალიფიკაციის ამაღლება	სამაუწყებლო ჟურნალისტიკა	1	€ 14 350,00
	დელფის ტექნიკური უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	არქიტექტურა	1	€ 11 100,00

2012-2013 სასწავლო წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოქალაქეებს სწავლა დაუფინანსა საზღვარგარეთის 10 ქვეყნის სასწავლებლებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლებლებიდან ყველაზე მეტი პირი (4) მუსიკალური განათლების (ფორტეპიანო, ვიოლინო) მისაღებად დაფინანსდა Julliard School -ში, ხოლო ყველაზე დიდი თანხა ერთ პირზე გამოყოფილია Emory University - ის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე - 50 000 აშშ დოლარი.

დიდი ბრიტანეთის სასწავლებლებიდან 2011-2012 სასწავლო წლების მსგავსად ყველაზე მეტი პირი (6) დაფინანსდა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე New College Nottingham-ში, ხოლო ყველაზე დიდი თანხა (37 500 სტერლინგი) ერთ პირზე გამოყოფილია **იმპერიალ კოლეჯ ლონდონის** სტატისტიკის სპეციალობაზე.

სრულად 2012-2013 სასწავლო წლებში დაფინანსებული პირების შესახებ ინფორმაცია საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში.

2012-2013 სასწავლო წლებში სამინისტროს მიერ გამოყოფილი 10 ყველაზე მსხვილი გრანტი
www.opendata.ge

აშშ	Emory University	სამართლის სამაგისტრო პროგრამა	50 000 აშშ დოლარი
	Georgia Institute of Tecnology	კომპიუტერული მეცნიერეების საბაკალავრო პროგრამა	42 650 აშშ დოლარი
	Harvard Business School	ლიდერის უნარჩვევების განვითარება	41 000 აშშ დოლარი
	Berklee College of Music	ჯაზ ვოკალი ბაკალავრიატი	40 795 აშშ დოლარი
	Northeastern University	სამაგისტრო პროგრამა პროექტის მენეჯმენტში	40 000 აშშ დოლარი
	Julliard School	მოსამზადებელი კურსი ფორტეპიანოში	39 900 აშშ დოლარი
დიდი ბრიტანეთი	Imperial College London	სტატისტიკა	37 500 სტერლინგი
	National Film and Television School	პროდიუსინგი და რეჟისურა სამაგისტრო პროგრამა	30 000 სტერლინგი
	ოქსფორდის უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებები	29 632 სტერლინგი
იტალია	Mib School of Management	ბიზნესის ადმინისტრირება სამაგისტრო პროგრამა	29 500 ევრო

2012-2013 სასწავლო წლებში გამოყოფილი დაფინანსება საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით www.opendata.ge					
ქვეყანა	სასწავლო დაწესებულება	პროგრამა	სპეციალობა	პირი	გამოყოფილი გრანტი
აშშ	vassar college	ბაკალავრიატი	liberal arts	1	$ 18 200,00
	university of connecticut school of law	დოქტურანტურა	სამართალი	1	$ 27 688,00
	unitar	კვალიფიკაციის ამაღლება	მოლაპარაკების წარმოება	1	6 601,00 Lari
	tufts university	მაგისტრატურა	სამართალი და დიპლომატია	1	$ 25 768,00
	state university of new york piattsburgh	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირება	1	$ 20 600,00
	stanford university	კვალიფიკაციის ამაღლება	leadership development	1	$ 33 000,00
	northeastern university	მაგისტრატურა	პროექტის მენეჯმენტი	1	$ 40 000,00
	new york university	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	2	$ 69 520,00
	new england conservatory	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$ 25 783,00
	new england conservatory	მაგისტრატურა	ფორტეპიანო	1	$ 29 300,00
	mit, sloan school of management	კვალიფიკაციის ამაღლება	business dynamics	1	$ 8 100,00
	mit	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	ბიზნესის ადმინისტრირება	1	$ 29 925,00
	mit	ბაკალავრიატი	კომპიუტერული მეცნიერებები	2	$ 26 046,00
	mit	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	$ 15 000,00
	minnesota state university	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ბიზნესი, მარკეტინგი და ფინანსები	1	$ 24 743,00
	julliard school	მაგისტრატურა	ფორტეპიანო	2	$ 40 280,00
	julliard school	მოსამზადებელი კურსი	ფორტეპიანო	1	$ 39 900,00
	julliard school	ბაკალავრიატი	ვიოლინო	1	$ 33 954,00
	harvard business school	კვალიფიკაციის ამაღლება	leadership development	1	$ 41 000,00
	georgia institute of tecnology	ბაკალავრიატი	კომპიუტერული მეცნიერებები	1	$ 42 650,00
	george mason university	მაგისტრატურა	კონფლიქტის ანალიზი და გადაწყვეტა	1	$ 33 617,00
	emory university, school of law	მაგისტრატურა	სამართალი	2	$ 100 000,00
	columbia university	მაგისტრატურა	სამართალი	1	$ 35 000,00
	boston conservatory	კვალიფიკაციის ამაღლება	ფორტეპიანო	1	$ 28 585,00
	boston conservatory	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$ 19 785,00
	birmingem southern college	ბაკალავრიატი	საბალეტო ხელოვნება	1	$ 10 000,00

	berklee college of music	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$	23 670,00
	berklee college of music	ბაკალავრიატი	ჯაზ-ვოკალი	1	$	40 795,00
გერმანია	dusseldorf kunst akademie	ბაკალავრიატი	ფერწერა	1	€	11 000,00
	როიტლინგენის უნივერსიტეტი	მაგისტრატურა	საერთაშორისო მენეჯმენტი	1	€	12 000,00
	bucerius law school	მაგისტრატურა	ბიზნესი და სამართალი	1	€	16 000,00
	munich university of music and perfoming arts	ბაკალავრიატი	ჰობოი	2	€	14 900,00
ესტონეთი	ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	სამრეწველო ინჟინერია და მენეჯმენტი	1	€	8 070,00
	ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	კიბერ უსაფრთხოება	5	€	44 850,00
	estonian information technology foundation	კვალიფიკაციის ამაღლება	კიბერ უსაფრთხოება	15	€	83 715,00
დიდი ბრიტანეთი	იმპერიალ კოლეჯ ლონდონი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	სტატისტიკა	1	£	37 500,00
	ოქსფორდის უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	კომპიუტერული მეცნიერებები	1	£	29 632,00
	ოქსფორდის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	არქიტექტურა	1	£	21 896,00
	cambridge judge business school	კვალიფიკაციის ამაღლება	leadership development	1	£	19 200,00
	bournemouth business school	კვალიფიკაციის ამაღლება	legal studies and business skills	1	£	2 701,00
	london business school	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	£	12 000,00
	london school of business and finance	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	£	20 000,00
	city university london	ბაკალავრიატი	მენეჯმენტი	2	£	12 000,00
	national film and television school	მაგისტრატურა	სატელევიზიო სანახაობრივ გადაცემათა პროდუსირებისა და რეჟისურა	2	£	60 000,00
	english study centers	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	1	£	4 446,00
	regent london	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	4	£	18 715,00
	kaplan international colleges	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	5	£	17 900,00
	university of bristol	მაგისტრატურა	მენეჯმენტი	1	£	15 000,00
	new college nottingham	ენის შემსწავლელი კურსები	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	6	£	15 390,00
	oxford university	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	£	18 500,00

იტალია	mib school of management	მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება	1	€	29 500,00
პოლონეთი	music academy of krakow	მაგისტრატურა	აკადემიური გუნდის რეჟისორი	4	€	53 024,00
	music academy of krakow	მაგისტრატურა	ვიოლინო	2	€	26 512,00
	music academy of krakow	მაგისტრატურა	კლარნეტი	2	€	26 512,00
შვეიცარია	eth zurich	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	კომპიუტერული მეცნიერებები	1	$	8 998,00
შვედეთი	university of gothenburg	ბაკალავრიატი	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	1	€	8 150,00
უნგრეთი	central european university	ბაკალავრიატი	ბიზნესის ადმინისტრირება	1	€	1 950,00
ჰოლანდია	დელფის ტექნიკური უნივერსიტეტი	ინჟინერია, ტექნოლოგიები, ზუსტი მეცნიერებები	კომპიუტერული მეცნიერებები	1	€	22 450,00
	vu medisch centrum	კვალიფიკაციის ამაღლება	ექიმ-პათოლოგია	3	€	65 700,00

2013-2014 სასწავლო წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოქალაქეებს სწავლა დაუფინანსა საზღვარგარეთის 14 ქვეყნის სასწავლებლებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლებლებიდან ყველაზე მეტი პირი (3) მუსიკალური განათლების (ფორტეპიანო) მისაღებად დაფინანსდა Boston Conservatory -ში, ხოლო ყველაზე დიდი თანხა ერთ პირზე გამოყოფილია ნიუ-იორკის კინოაკადემიის კინორეჟისორის სპეციალობაზე - 63 576 აშშ დოლარი.

დიდი ბრიტანეთის სასწავლებლებიდან ყველაზე დიდი თანხა (44 150 სტერლინგი) ერთ პირზე გამოყოფილია ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობაზე.

სრულად 2012-2013 სასწავლო წლებში დაფინანსებული პირების შესახებ ინფორმაცია საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

2013-2014 სასწავლო წლებში სამინისტროს მიერ გამოყოფილი 10 ყველაზე მსხვილი გრანტი
www.opendata.ge

აშშ	ნიუ იორკის კინოაკადემია	კინორეჟისურა	63 576 აშშ დოლარი
	ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი	უსაფრთხოების სწავლება	53 994 აშშ დოლარი
	მიჩიგანის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	42 944 აშშ დოლარი
დიდი ბრიტანეთი	ოქსფორდის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	44 150 სტერლინგი
	კემბრიჯის უნივერსიტეტი	სამართალი	30 089 სტერლინგი
	ლონდონის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	30 000 სტერლინგი
ესპანეთის სამეფო	აი-ი-ეს-ი ნავარას უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	36 600 ევრო
	ესადეს ბიზნეს სკოლა	ბიზნესის ადმინისტრირება	29 950 ევრო
ნიდერლანდების სამეფო	ერასმუსის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	39 000 ევრო
შვედეთი	უფსალას უნივერსიტეტი	მოლეკულური ბიოტექნოლოგიები	30 000 ევრო

2013-2014 სასწავლო წლებში გამოყოფილი დაფინანსება საზღვარგარეთის სასწავლებლების მიხედვით www.opendata.ge					
ქვეყანა	სასწავლო დაწესებულება	პროგრამა	სპეციალობა	პირი	გამოყოფილი გრანტი
აშშ	ჰარვარდის უნივერსიტეტი	სამართალი	სამართლის ფაკულტეტი	1	$ 15 000,00
	ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	უსაფრთხოების სწავლება	1	$ 53 994,00
	ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი	სადოქტორ პროგრამა ეკონომიკაში		1	$ 10 000,00
	ნიუიორკის კინოაკადემია	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	კინორეჟისურა	1	$ 63 576,00
	ნიუიორკის კინოაკადემია	სახელოვნებო	სამსახიობო	1	$ 20 465,00
	მიჩიგანის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	ფინანსები	1	$ 42 944,00
	washington and jeferson college	ბაკალავრიატი		1	$ 25 000,00
	university of lowa	ბაკალავრიატი		1	$ 27 000,00
	school of physical theatre	პროფესიული მომზადება		1	$ 16 080,00
	new york university	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	ბიზნესის ადმინისტრირება	1	$ 34 760,00
	mount holyoke college	ბაკალავრიატი		1	$ 10 000,00
	mit	ბაკალავრიატი	კომპიუტერული მეცნიერებები	2	$ 37 766,00
	minnesota state university	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ბიზნესი	1	$ 7 532,00
	michigan state university	ბაკალავრიატი		1	$ 29 210,00
	julliard school	მაგისტრატურა	ფორტეპიანო	1	$ 6 720,00
	julliard	ბაკალავრიატი	ვიოლინო	1	$ 36 129,00
	emory university	ბაკალავრიატი		1	$ 15 000,00
	edinboro university	ბაკალავრიატი		1	$ 7 000,00
	earlham college	ბაკალავრიატი		1	$ 7 000,00
	depauw university	ბაკალავრიატი		1	$ 30 000,00
	collage of arts and science	ბაკალავრიატი		1	$ 20 061,00
	bowdoin college	ბაკალავრიატი		1	$ 6 300,00
	boston conservatory	profesional studies sertificate	ფორტეპიანო	2	$ 47 688,00
	boston conservatory	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$ 21 270,00
	birmingham southern college	ბაკალავრიატი	საბალეტო ხელოვნება	1	$ 22 225,00
	berklee college of music	ბაკალავრიატი	ფორტეპიანო	1	$ 25 070,00

	berklee college of music	ბაკალავრიატი	ჯაზ-ვოკალი	1	$	18 245,00
	bates college	ბაკალავრიატი		1	$	7 500,00
ბელგიის სამეფო	ანტვერპენის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	ტრანსპორტი და საზღვაო მენეჯმენტი	1	€	21 700,00
გერმანია	გეორგ-აუგუსტუსის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	საერთაშორისო აგრობიზნესი	1	€	12 000,00
	ჰუმბოლტის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	საჯარო პოლიტიკა	1	€	5 000,00
	dusseldorf kunst akademie	ბაკალავრიატი	ფერწერა	1	€	11 000,00
	munich university of music and perfoming arts	ბაკალავრიატი	ჰობოი	1	€	1 182,00
	bard collage	ბაკალავრიატი		1	€	4 000,00
	technische university munchen	ბაკალავრიატი		1	€	5 000,00
დიდი ბრიტანეთი	ოქსფროდის უნივერსიტეტი	გამოყენებითი მეცნიერებები	კომპიუტერული მეცნიერებები	1	£	16 916,00
	ოქსფორდის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	სეიდის ბიზნეს სკოლა	1	£	44 150,00
	ნოტინგემის უნივერსიტეტი	სამართალი	სამართლის სკოლა	1	£	12 830,00
	მანჩესტერის უნივერსიტეტი	სამართალი	საერთაშორისო ბიზნესისა და კომერციული	1	£	25 275,00
	ლონდონის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	ლონდონის ბიზნეს სკოლა	1	£	30 000,00
	ლონდონის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	კულტურული მემკვიდრეობა	1	£	16 500,00
	ლესტერის უნივერსიტეტი	სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო სმართალში		1	£	6 720,00
	კემბრიჯის უნივერსიტეტი	სამართალი	სამართლის სკოლა	1	£	30 089,00
	იმპერიალ კოლეჯ ლონდონი	ინჟინერია,ტექნოლოგიები , ზუსტი მეცნიერებები	მათემატიკა/სტატისტიკა	1	£	17 916,00
	ედინბურგის უნივერსიტეტი	სამართალი	სამართლის სკოლა	1	£	15 100,00
	ედინბურგის უნივერსიტეტი	სადოქტორო პროგრამა სამართლის თეორიაში		1	£	12 350,00
	გოლდსმიტის კოლეჯი	სახელოვნებო	თანამედროვე ხელოვნების კურატორობა	1	£	20 700,00
	ბრისტოლის უნივერსიტეტი	სამართალი	სამართლის სკოლა	1	£	23 077,00
	university of exeter	ბაკალავრიატი		1	£	10 218,00
	st.andrews university	ბაკალავრიატი		2	£	15 000,00
	newcastle university	ბაკალავრიატი		1	£	5 770,00

	national film and television school	სახელოვნებო	სატელევიზიო სანახაობრივ გადაცემათა პროდუსირებისა და რეჟისურა	1	£	20 500,00
იტალია	jhon cabot university	ბაკალავრიატი		1	€	18 224,00
	la scala theatre academy	პროფესიული მომზადება		1	€	7 500,00
კანადა	toronto university	ბაკალავრიატი		1	$	38 322,00
ნიდერლანდე ბის სამეფო	როტერდამის ერასმუსის	სამართალი	სავაჭრო და კორპორაციული სამართალი	1	€	15 000,00
	გრონონგენის უნივერსიტეტი	სამართალი	საერთაშორისო სამართალი	1	€	10 500,00
	ლეიდენის უნივერსიტეტი	სამართალი	სამართლის სკოლა	1	€	24 545,00
	ერასმუსის უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	მენეჯმენტი	1	€	39 000,00
	ამსტერდამის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	პოლიტიკური მეცნიერება	1	€	15 000,00
	ეინდჰოვენის ტექნოლოგიური	გამოყენებითი მეცნიერებები	ტექნოლოგიების მართვა	1	€	10 000,00
	დელფის ტექნიკური უნივერსიტეტი	ინჟინერია,ტექნოლოგიები , ზუსტი მეცნიერებები	კომპიუტერული მეცნიერებები	1	€	25 966,00
პოლონეთი	music academy of krakow	მაგისტრატურა	აკადემიური გუნდის დირიჟორი	2	€	11 600,00
	music academy of krakow	მაგისტრატურა	ვიოლინო	1	€	12 276,00
	music academy of krakow	მაგისტრატურა	კლარნეტი	1	€	5 800,00
რუსეთი	moscow conservatory	ბაკალავრიატი		1	910000 (რუბლი)	
საფრანგეთი	ეიჩ-ი-სი პარიზის	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	1	€	15 900,00
შვედეთი	სტოკჰოლმის უნივერსიტეტი	სამართალი	ევროპული ინტელექტუალური	1	€	21 920,00
	უფსალას უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	მოლეკულური ბიოტექნოლოგიები	1	€	30 000,00
შვეიცარია	ჟენევის უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები	საერთაშორისო დავების გადაწყვეტა	1	fr.	25 000,00
	ლაუსანეს უნივერსიტეტი	სოციალური მეცნიერება	საჯარო მართველობა	1	fr.	19 000,00
	franklin college	ბაკალავრიატი		1	fr.	20 000,00
ნორვეგია	ოსლოს უნივერსიტეტი	სოციალური მეცნიერება	მედიისა და კომუნიკაციების ფაკულტეტი	1	€	7 000,00
ესპანეთი	ესადეს ბიზნეს სკოლა	ბიზნესის ადმინისტრირება	მარკეტინგი და გაყიდვები	1	€	29 950,00
	აი-ი-ეს-ი, ნავარას უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნეს სკოლა	1	€	36 600,00

აი-ი ბიზნეს სკოლა	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	1	€	15 000,00

- **საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება სპეციალობების მიხედვით**

სასწავლო პროგრამებისგან განსხვავებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწოდებულ დოკუმენტაციაში შედარებით მცირეა შემთხვევები, როდესაც არ არის კონკრეტულ პირზე მითითება თუ, რომელი სპეციალობით იქნა დაფინანსებული მისი სწავლა საზღვარგარეთ. აღნიშნული ინფორმაცია არ არის მითითებული 22 პირზე გაწეულ 599 892 ლარის დაფინანსებაზე. რაც შეეხება 2011-2014 სასწავლო წლებში საზღვარგარეთ სწავლაზე გაწეული დანარჩენი თანხებიდან უდიდესი ნაწილი 2 261 835 ლარი გამოყოფილია ბიზნესის ადმინისტრირება, მარკეტინგი და მენეჯმენტის სპეციალობებზე.

1 490 518 ლარი გამოყოფილია მუსიკალურ განათლებაზე (ფორტეპიანო, ვიოლინო, კლარნეტი, ჰობოი, დირიჟორი). შემდეგ სპეციალობას გამოყოფილი თანხის სიდიდის მიხედვით წარმოადგენს მუსიკალურ განათლებასა (ფორტეპიანო, ვიოლინო, კლარნეტი, ჰობოი, დირიჟორი) და ხელოვნებისთვის - **2 233 702 ლარი** . სხვა სპეციალობები 2011-2014 სასწავლო წლებში გამოყოფილი თანხის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ✓ ბიზნესის ადმინისტრირება, მარკეტინგი, მენეჯმენტი **- 2 261 835**
- ✓ მუსიკალური განათლება და ხელოვნება **- 2 233 702 ლარი**
- ✓ ინჟინერია, ტექნოლოგიები, კომპიუტერული მეცნიერებები,არქიტექტურა **- 1 483 024 ლარი**
- ✓ სამართალი **- 1 235 128 ლარი**
- ✓ უცხო ენის შესწავლა **- 778 512 ლარი**
- ✓ ექიმ-პათოლოგია **- 298 628 ლარი**
- ✓ ჟურნალისტიკა **- 158 932 ლარი**
- ✓ სხვა სპეციალობები **- 521 557 ლარი**



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებულ დოკუმენტაციაზე 22 პირზე არ არის მითითება თუ, რომელი სპეციალობით იქნა დაფინანსებული მისი სწავლა საზღვარგარეთ. დანარჩენი პირებიდან უმრავლესობა (130 პირი) დაფინანსებულია უცხო ენის შესასწავლად, რომელთაგან 129 დაფინანსდა ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე, ხოლო ერთი თურქული ენის შემსწავლელ კურსზე. შემდეგ სპეციალობას დაფინანსებული პირთა სიმრავლის მიხედვით წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირება, მარკეტინგი და მენეჯმენტი - 64 პირი. სხვა სპეციალობები 2011-2014 სასწავლო წლებში დაფინანსებული პირების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ✓ უცხო ენის შესწავლა - **130 პირი**
- ✓ ბიზნესის ადმინისტრირება, მარკეტინგი, მენეჯმენტი - **64 პირი**
- ✓ მუსიკალური განათლება და ხელოვნება - **58 პირი**
- ✓ ინჟინერია, ტექნოლოგიები, კომპიუტერული მეცნიერებები,არქიტექტურა - **53 პირი**

- ✓ სამართალი - **24 პირი**
- ✓ ექიმ-პათოლოგია - **6 პირი**
- ✓ ჟურნალისტიკა - **4 პირი**
- ✓ სხვა სპეციალობები - **21 პირი**



2011-2012 სასწავლო წლებში ყველაზე მეტი პირი -114 დაფინანსებულიაინგლისური ენის საზღვარგარეთ შესწავლის მიზნით, ხოლო ყველაზე დიდი თანხით ბიზნესის ადმინისტრირება, მარკეტინგი და მენეჯმენტის სპეციალობებით - 652 389 ლარი .

2012-2013 სასწავლო წლებში ყველაზე დიდი თანხა გამოყოფილია მუსიკალური (ფორტეპიანო, ვიოლინო, კლარნეტი, ჰობოი, დირიჟორი) განათლებისთვის, ხოლო ყველაზე მეტი პირი - 30 დაფინანსებულია ინჟინერია, ტექნოლოგიები, არქიტექტურა და კომპიუტერულ მეცნიერებებზე.

ყველა პირი (22) , რომელზეც არ არის მითითებული თუ რომელი სპეციალობით იქნა მათვის გამოყოფილი თანხები, დაფინანსებულია 2012-2013 სასწავლო წლებში. დანარჩენ შემთხვევაში ხსენებულ სასწავლო წლებში ყველაზე მეტი პირი (19) დაფინანსებულია ინჟინერია, ტექნოლოგიები, არქიტექტურა და კომპიუტერულ მეცნიერებებზე, ხოლო ყველაზე დიდი თანხა (782 209 ლარი) გამოყოფილია ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის სპეციალობით.

საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში დაფინანსებული სტუდენტები სპეციალობების მიხედვით
www.opendata.ge

სპეციალობა	2011-2012		2012-2013		2013-2014	
	თანხა (ლარი)	პირი	თანხა (ლარი)	პირი	თანხა (ლარი)	პირი
ბიზნესის ადმინისტრირება, მარკეტინგი , მენეჯმენტი	652 389	30	827 237	20	782209	14
ფორტეპიანო, ვიოლინო, კლარნეტი, ჰობოი, დირიჟორი , ხელოვნება	571 878	14	976494	25	685330	19
ინჟინერია, ტექნოლოგიები, კომპიუტერული მეცნიერებები, არქიტექტურა	500 921	17	744866	30	237237	6
სამართალი	308 807	4	358325	7	567996	13
უცხო ენის შესწავლა	627 906	114	150606	16	0	0
ექიმ-პათოლოგია	150 330	3	148298	3	0	0
ჟურნალისტიკა	143 132	3	0	0	15800	1
სხვა სპეციალობები	220 831	14	62792	2	237934	5
სპეციალობა არ არის მითითებული	0	0	0	0	599892	22

➢ საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება სასწავლო პროგრამების მიხედვით

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოწოდებული დოკუმენტაცია სამწუხაროდ ყველა პირზე არ იძლევა ინფორმაციას, თუ რომელ კონკრეტულ სასწავლო პროგრამაზე იქნა დაფინანსებული. 2011-2014 სასწავლო წლებში გამოყოფილი თანხებიდან **3 094 220** ლარის შემთხვევაში არ არის მითითებული სასწავლო პროგრამის კონკრეტული დასახელება. რაც შეეხება დანარჩენ თანხებს, რომელზეც მითითებულია კონკრეტული სასწავლო პროგრამა, ყველაზე დიდი ნაწილი **2 313 454 ლარი** გამოყოფილია სამაგისტრო პროგრამაზე. მას მცირედით ჩამოუვარდება საბაკალავრო პროგრამა - **2 073 456 ლარი**. ხოლო სხვა პროგრამები, გამოყოფილი თანხის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

სამაგისტრო პროგრამა - **2 313 454 ლარი**

საბაკალავრო პროგრამა **- 2 073 456 ლარი**

კვალიფიკაციის ამაღლება - **924 164 ლარი**

ენის შემსწავლელი კურსები - **778 512 ლარი**

პროფესიული მოსამზადებელი კურსი - **256 485 ლარი**

დოქტორანტურა - **130 914 ლარი**



2011-2014 სასწავლო წლებში დაფინანსებული პირებიდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე 66 პირზე არ არის მითითებული კონკრეტული სასწავლო პროგრამა. ხოლო დანარჩენ შემთხვევაში **ყველაზე მეტი- 130 პირი დაფინანსებულია ენის შემსწავლელ კურსებზე**. სხვა სასწავლო პროგრამები დაფინანსებულ პირთა მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ენის შემსწავლელი კურსები - **130 პირი**

ბაკალავრიატი - **68 პირი**

მაგისტრატურა- **54 პირი**

კვალიფიკაციის ამაღლება - **53 პირი**

პროფესიული მოსამზადებელი კურსი - **6 პირი**

დოქტორანტურა - **5 პირი**



სხვადასხვა სასწავლო წლებში, დაფინანსებული პროგრამების სხვადასხვა ტენდენციები შეინიშნება. იმ პირების მიხედვით, რომლებზეც მითითებულია სასწავლო პროგრამა 2011-2012 წლებში ყველაზე მეტი პირი დაფინანსებულია ენის შემსწავლელ კურსებზე - 114, ხოლო ყველაზე დიდი თანხა გამოყოფილია სამაგისტრო პროგრამებისთვის - 1 020 041 ლარი. 2012- 2013 სასწავლო წლებში როგორც გამოყოფილი თანხების ასევე დაფინანსებული პირების სიმრავლით გამორჩეულია სამაგისტრო პროგრამა (27 პირი სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსდა 1 215 196 ლარით). რაც შეეხება 2013-2014 სასწავლო წლებს, უმრავლეს შემთხვევაში პროგრამა მითითებული არ იყო, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში როგორც გამოყოფილი თანხების ასევე დაფინანსებული პირების სიმრავლით გამორჩეულია საბაკალავრო პროგრამა (31 პირი საბაკალავრო პროგრამაზე დაფინანსებულია 905 925 ლარით). ასევე აღსანიშნავია, რომ 2012-2013 წლებში ენის შემსწავლელი კურსების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამა არც ერთ პირზე არ არის მითითებული.

საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსება სასწავლო პროგრამების და წლების მიხედვით www.opendata.ge						
	2011-2012		2012-2013		2013-2014	
პროგრამა	გამოყოფილი თანხა (ლარი)	პირი	გამოყოფილი თანხა (ლარი)	პირი	გამოყოფილი თანხა (ლარი)	პირი
პროფესიული მოსამზადებელი კურსი	66275	1	66693	1	123517	4
მაგისტრატურა	1020041	22	1215196	27	78217	5
კვალიფიკაციის ამაღლება	336864	28	587300	25	0	0
ენის შემსწავლელი კურსები	627906	114	150606	16	0	0
დოქტურანტურა	17042	1	46280	1	67592	3
ბაკალავრიატი	575830	18	591701	19	905925	31
პროგრამა მითითებული არ არის	532233	15	610841	14	1951146	37

- **საქართველოს სასწავლებლებში დაფინანსებული უცხოელები**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში აგრეთვე ვხდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც სამინისტრო უფინანსებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლას.

2013 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსტიტეტში მედიცინის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა დაუფინანსდა ფიჯის რესპუბლიკის 6 მოქალაქეს, ბურუნდის რესპუბლიკის 3 მოქალაქეს, გაიანას რესპუბლიკის 3 მოქალაქეს, გამბიის რესპუბლიკის 3 მოქალაქეს და სურინამის რესპუბლიკის 5 მოქალაქეს. ფიჯის, ბურუნდის, გაიანას და გამბიის რესპუბლიკების მოქალაქეებს სწავლა დაუფინანსდათ თითოეულს 3 500 ლარით, ხოლო სტიპენდიის სახით სტუდენტებმა მიიღეს 7 200 ლარი. რაც შეეხება სურინამის რესპუბლიკის მოქალაქეებს მათ სწავლა დაუფინანსდათ თითოეულს 2 250 ლარით, ხოლო სტიპენდიის სახით მიიღეს 8 400 ლარი.

2013 წელს სწავლა დაუფინანსდათ ასევე სომხეთის რესპუბლიკის 4 მოქალაქეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათგან სამს სამაგისტრო პროგრამაზე, ხოლო ერთს დოქტორანტურაზე. თითოეულმა მათგანმა სტიპენდიის სახით მიიღო 3 000 ლარი.


თსუ
დოქტურანტურა
სომხეთის რსპუბლიკის 1 სტუდენტი
სტიპენდია 3000 ლარი
მაგისტრატურა
სომხეთის რესპუბლიკის 3 სტუდენტი
სტიპენდია 3000 ლარი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრა
ფიჯის რესპუბლიკის 6 სტუდენტი
სწავლის საფასური 3 500 დოლარი
სტიპენდია 7200 ლარი
ბერუნდიის რესპუბლიკის 3 სტუდენტი
სწავლის საფასური 3 500 დოლარი
სტიპენდია 7 200 ლარი
გაიანას რესპუბლიკის 3 სტუდენტი
სწავლის საფასური 3 500 დოლარი
სტიპენდია 7200 ლარი
გამბიის რესპუბლიკის 3 სტუდენტი
სწავლის საფასური 3 500 დოლარი
სტიპენდია 7 200 ლარი
სურინამის რესპუბლიკის 5 სტუდენტი
სწავლის საფასური 2250 ლარი
სტიპენდია 8400 ლარი

➢ დასკვნა

საზღვარგარეთის სასწავლებლებში დაფინანსებული მოქალაქეების შესახებ ოფიციალური მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ უკანასკნელი სამი სასწავლო წლის მანძილზე სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხები თითქმის უტოლდება ერთმანეთს. ამავე დროს, დაფინანსებულ პირთა რაოდენობის კლება ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ 2013-2014 სასწავლო წლებში, წინა წლებთან შედარებით, აღარ ხორციელდება საზღვარგარეთ უცხო ენის შემსწავლელი და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დაფინანსება.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ყველაზე პრიორიტეტულ სასწავლო დაწესებულებებს კვლავ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სასწავლებლები. ასევე აღსანიშნავია, რომ 2013-2014 სასწავლო წლების განმავლობაში დაფინანსებულია ისეთი ქვეყნების სასწავლებლებში სწავლა, რომლის დაფინანსებასაც წინა სასწავლო წლებში ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, 2013-2014 სასწავლო წლებში, წინა წლებთან განსხვავებით დაფინანსებულია საფრანგეთის, რუსეთის, ნორვეგიის, კანადის და ესპანეთის სასწავლებლები.

ამავე დროს, კვლევამ ასევე აჩვენა, რომ 2011-2014 სასწავლო წლებში ყველაზე პრიორიტეტულ სპეციალობებს, რომლებზეც სამინისტრო გამოყოფდა ყველაზე დიდი გრანტებს, წარმოადგენდა ბიზნესის ადმინისტრირებისა და მუსიკალური საკრავების შემსწავლელი კუთხით დაფინანსებული მოქალაქეები.

2013-2014 სასწავლო წლებში წინა წლებთან შედარებით თითქმის გაორმაგებულია სამართლის სპეცილობაზე გამოყოფილი დაფინანსება, თუმცა ამავე დროს შემცირდა ინჟინერიის, ტექნოლოგიების, არქიტექტურისა და კომპიუტერულ მეცნიერებების მიმართულებით არსებული სპეციალობების დაფინანსება.